პროფესიული მომზადების პროგრამა:

,,ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია“

პროგრამის სახელწოდება: ,,ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია“
პროგრამის სახე: ☒ **პროფესიული მომზადება** ☐ **პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐2 ☒3 ☐4 ☐5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 21
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 12 სთ. (მე-12, მე-13, მე-14 კვირაში - 13სთ.)
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 5, მაქსიმალური - 12.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი პირი, რომელსაც შეეძლება ფირფიტის მომზადება, ფუძეზე ტიხრული კონტურებით ნახატის შექმნა, ტიხრული მინანქრის ტექნიკით ნაკეთობის დამზადება, გახეხვა/გაპრიალება ნამუშევრისათვის საბოლოო სახის მიცემა.
სწავლის შედეგები: მსმენელს შეუძლია 1. ტიხრული მინანქრის ტექნიკის აღწერა; 2. ტიხრული მინანქრის დადების ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულება; 3. ბრტყელ ზედაპირზე ტიხრული მინანქრის ნაკეთობის შექმნა.
პროგრამის შემუშავების საფუძველი: 1. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მიერ №04-164, 31.05.2019წ. ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მომინანქრება“
პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია საბაზო განათლების მქონე ყველა დაინტერესებულ პირს. პროფესიული მომზადების პროგრამის მოცულობა შეადგენს 259 საათს, აქედან შეფასებას დაეთმობა 8 საათი მე-2, მე-15 და 21-ე კვირას. პროგრამა განხორციელდება 21 კვირის განმავლობაში კოლეჯში მომინანქრების სასწავლო სახელოსნოში, AC ინტეგრირებულ გარემოში. კვირეული დატვირთვა შეადგენს 12 საათს გარდა მე-12, მე-13 და მე-14 კვირისა (კვირეული დატვირთვა - 13სთ.).

პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან ტიხრული მინანქრის ტექნიკას, ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებას და ბრტყელ ზედაპირზე ტიხრული მინანქრის ნაკეთობის შექმნას.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება თეორიული გამოკითხვით (ტესტირება), პრაქტიკული დავალება დაკვირვებით და პრაქტიკული დავალებით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.